პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 80 (19522) ◆ პარასკევი, 4 აპრილი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკოლას — საყოველთაო ზრუნვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ წარმოებს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის იმ გადაწყვეტილების განსახორციელებლად, რომ მეთორმეტე ხუთწლედი გამოცხადდეს სკოლისათვის საყოველთაო ზრუნვის ხუთწლეულად.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განსახორციელებლად.

ამავე დროს, როგორც სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის ტემპსა და სიღრმეს დამაკმაყოფილებლად ვერ მივიჩნევთ. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში ბევრი ნაკლი და ხარვეზია. ნელა გარდაიქმნება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, სუსტად სრულდება რეფორმის ძირითადი მოთხოვნები თითოეული საგნის სწავლების ხარისხის ამაღლების შესახებ. ჯეროვნად არ შეისწავლება თანამედროვე წარმოების მეცნიერული საფუძვლები, მეტისმეტად ნელა ხორციელდება მოსწავლეთა კომპიუტერული ცოდნის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, ნელი ტემპით ვითარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა. შეიმჩნევა გადახრები თანამედროვე მოთხოვნებისაგან პედაგოგთა კადრების მომზადებისა და შერჩევის დროს. რესპუბლიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებიანი სკოლების უზრუნველყოფის მხრივაც. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მექანიზმების, ფულის შეწერისა და სხვა ნეგატიური მოვლენების ფაქტები. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დაყენებაში არსებული ნაკლოვანებანი უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა დისციპლინაზე. შემთხვევითი როდია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა და სხვადასხვა დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის საშუალო სკოლების მოსწავლეებიც გვხვდებიან.

ასეთი მდგომარეობა, ნათქვამია დადგენილებაში, გარკვეულწილად იმის ბრალია, რომ მრავალი პარტიული კომიტეტი, საბჭოთა ორგანო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ჯეროვან ყურადღებას ვერ იჩენენ სკოლის რეფორმის განხორციელების საჭიროროტა საკითხებისადმი.

ხშირად მუშაობას, რომელსაც პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ეწევიან სკოლის რეფორმის ხელმძღვანელობისათვის, აკლია საქმის ვითარების ანალიზის სიღრმე, თავს იჩენს ფორმალიზმი. სუსტად ამბობენ ამ მნიშვნელოვან საქმეში სამეურნეო ხელმძღვანელებს, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, მშობელთა აქტივს. არადამაკმაყოფილებელია კონტროლი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივი განმტკიცების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. უფრო მეტიც, ხშირად არ ითვისებენ ამ მიზნებისათვის გამოყოფილ სახსრებს, არასრულად და დაუდევრად იყენებენ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ყოველთვის როდი ახდენს დროულ და პრინციპულ რეაგირებას სკოლის რეფორმის მოთხოვნათა რეალიზაციაში ნაკლოვანებათა კონკრეტულ ფაქტებზე, სკოლის მუშაობის ასპექტებზე, ინვალიდ-ინტერნატებზე, დამატებითი სასწავლო-საწარმოო კომბინატებზე, ... ინტერნატებზე, ... ეფექტიანობაში. ... ეჭვქვეშ, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა თავიანთ უპირველეს ამოცანად უნდა მიიჩნიონ ის, რომ ყოველმხრივ გააქტიურონ მუშაობა, რათა განახორციელონ სკოლის რეფორმა, დაიჭარონ მისი რეალიზაციის ტემპი და გაიარონ იგი სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მიზნით საჭიროა საფუძვლიანად გაუმჯობესდეს სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, გაიზარდოს პარტიული კომიტეტების პირველი მდივნების, აგრეთვე საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სკოლებისა და შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა ამ მიმართულებით მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს იმას, რომ საჭიროა განმტკიცდეს პარტიული ბირთვი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელობასა და პედაგოგიურ კოლექტივებში, მთლიანად სახალხო განათლების სისტემაში.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისადმი ხელმძღვანელობა, გაიზარდოს მომთხოვნელობა ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და მშობლების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი მუშაკებისადმი ბავშვების სწორად აღზრდისათვის, მათი მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო განათლების საუწყებათშორისო კომისიას წინადადება მიეცა გაუმჯობესოს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, განათლების სისტემის რგოლების სქემიანობის კოორდინაცია, გააძლიეროს პრაქტიკული ხელმძღვანელობა განათლებისადმი, მასწავლებლების, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლების შრომისა და საყოფაცხოვრებო სათანადო პირობების უზრუნველყოფისადმი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიეთითა, რომ საჭიროა მეტი ინიციატივა და პრინციპულობა გამოიჩინოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის განხორციელებაში, მტკიცედ იბრძოლოს ნაკლოვანებებისა და ხარვეზების წინააღმდეგ, მნიშვნელოვნად გაზარდოს ამ საქმეში სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა.

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები განუხრელად უნდა ასრულებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შეიქმნას საჭირო პირობები ბავშვების შრომითი სწავლებისათვის, გამოიყოს ამ მიზნით საჭირო მოწყობილობა, მასალები, სამუშაო ადგილები და კვალიფიციური კადრები.

დადგენილებაში დასახულია ამოცანები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წინაშეც.

(საკინფორმი).

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

ალჟირის ჟურნალ „რევოლუსიონ აფრიკენისადმი“

ალჟირის ეროვნულმა „რევოლუსიონ აფრიკენმა“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს სთხოვა, პასუხი გაეცა მთელ რიგ კითხვებზე, აგრეთვე მიეღო სასაუბროდ ალჟირის ყოველკვირეულის, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ორგანოს „რევოლუსიონ აფრიკენის“ მთავარი რედაქტორი ზუბირ მ. სუისი. საუბარი გაიმართა ა. წ. 31 მარტს. მასში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. იაკოვლევმა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მ. ს. გორბაჩოვის პასუხს და საუბარს ალჟირელ ჟურნალისტთან.

კითხვა: **საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ახლახან დაუდგა თავისი განვითარების გარდამტები მომენტი: XXVII ყრილობა გახდა სიახლისა და გაბედული სტრატეგიის ყრილობა როგორც პარტიის ცხოვრების, ისე ეკონომიკისა და საბჭოთა საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით. ხომ ვერ გვეტყოდით, რა მიზეზებით არის გამოწვეული ეს პროექტები?**

პასუხი: კაცმა რომ თქვას, ჩვენ მართლაც გვაქვს საფუძველი დავეთანხმოთ XXVII ყრილობის ხასიათის თქვენეულ შეფასებას. საბჭოთა კომუნისტებისათვის მას ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქმე ეხება გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტას — **საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის** მიღწევას. ასე რომ, ახლანდელი მომენტი ნამდვილად გარდამტეხია ქვეყნის ცხოვრებაში.

ოღონდ აქ სიცხადეა საჭირო. არა მგონია, ახლა პროფესიონალი ანტისაბჭოელების გარდა ვინმე უარყოფდეს ჩვენს მიღწევებს. ვფიქრობ, თქვენი ჟურნალის მკითხველებისათვის ცნობილია, რა გზა გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ. გზა ჩამორჩენილი, გაპარტახებული ქვეყნიდან მოწინავე სახელმწიფოდე როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩვენს რევოლუციას ბევრი მტერი ჰყავდა, ძალზე ბევრი. მე ვგულისხმობ არა მარტო იმპერიალისტ მტაცებლებს, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ნახევრად კოლონიურ წარსულში დავებრუნებინათ. მე ვგულისხმობ მასობრივი უწიგნურობასაც, ხალხის სიღატაკეს, საუკუნეობრივ სიღუხჭირეს. მაგრამ რას იზამ, ასეთია ბედი ჭეშმარიტად სახალხო რევოლუციისა, რომელიც მუდამ აწყდება ძველი სამყაროს ძალების წინააღმდეგობას. თქვენს ქვეყანაში ეს საკუთარი გამოცდილებითაც მოგეხსენებათ.

ჩვენს ხალხს წილად ხვდა უმძიმესი განსაცდელი. საკმარისია გავიხსენოთ ფაშისტური შემოსევა, რომელმაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა და ნაცარტუტად გვიქცია ქალაქები და სოფლები. მაგრამ საბჭოთა ხალხის გმირული გარჯის მეოხებით ამასაც ვძლიეთ. სულ რამდენიმე წელიწადში ქვეყანა ჭეშმარიტად აღორძინდა.

დღეს მძლავრი საწარმოო პოტენციალი გვაქვს, ჩვენი სახალხო მეურნეობა განუხრელად მიიწევს წინსვლის გზით. მარტო უკანასკნელი მეთხუთმეტი საუკუნის განმავლობაში შვიდჯერ გაიზარდა ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდები. ჩვენი ინდუსტრია ორჯერ უფრო სწრაფად მიაბიჯებდა, ვიდრე განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისა. არსებითად გაუმჯობესდა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე განგარიშებით მეოთხედი საუკუნის მანძილზე 2,6-ჯერ გაიზარდა.

ვიცი, დასავლეთში უყვართ ლაპარაკი საბჭოთა კავშირის ეგრეთ წოდებულ ჩამორჩენაზე იმ მხრივ, რაც თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას შეეხება. ვგონებ, ყოველგვარ უარყოფაზე უფრო მტევრმეტყველია საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების უთვალსაჩინესი აღმოჩენები და მიღწევები სულ სხვადასხვა დარგში. საკმარისია გავიხსენოთ დედამიწის პირველი თანამგზავრი, ოური გაგარინის გაფრენა, რითაც დაიწყო კოსმოსური ხანა, „ვენერა-ჰალეის კომეტის“ ამასწინანდელი პროექტის წარმატება. ამ უნიკალურ გამოკვლევაში ერთმანეთს ეროწყმის საბჭოთა ფიზიკისა და მანქანათმშენებლობის, მათემატიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგების მიღწევები, მუშათა კლასის პროფესიული ოსტატობა.

თუმცა, მე არც ვაპირებ ავყვე ფუჭ პოლემიკაში იმათ, ვინც, ოღონდ კარგად გადაუხადონ, და მზად არის საკუთარი თავიც კი გათათხოს. უბრალოდ ვიცი, რომ ცოდნის ყველა დარგში გვყავს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, საუცხო წარმოების მუშაკები. სხვათა შორის, ალჟირში უკვე მრავალი წელია მუშაობენ ჩვენი ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშაები, ექიმები და, რამდენადაც ვიცი, წარმატებით მუშაობენ. ალჟირელ კოლეგებს ასეთი თანამშრომლობა ფრიად სასარგებლოდ მიაჩნიათ.

რა თქმა უნდა, შეიძლება გვკითხონ: თუკი საბჭოთა საზოგადოება განვლილ ათწლეულებში წარმატებით ვითარდებოდა, მაშ, რაღა საჭიროა ღრმა ცვლილებები, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობამ დასახა? საქმე ის გახლავთ, რომ, მივაგებთ რა ჯეროვან პატივს ყოველივე იმას, რაც გაკეთდა, გვინდა ამასთანავე ვიაროთ უფრო სწრაფად, ახალ თვისებრივ საფუძველზე. სოციალიზმს ისეთი აღმშენებლობითი შესაძლებლობანი მოსდგამს, რომ ჩვენ წინანდელზე უფრო რთული და მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტაც ხელგვაწყობა. თვითდამშვიდება ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის თვით ბუნებას, სოციალისტური საზოგადოების ბუნებას, ჩვენს მორალს.

სწორედ ამიტომ იყო, რომ XXVII ყრილობაზე გულახდილად და პატიოსნად აღინიშნა არა მარტო მიღწევები, არამედ აგრეთვე ჩვენი შეცდომები და ნაკლოვანებანი. გარკვეულწილად დაგვამშვიდა განვითარების შესაძლებლობებმა, რომლებიც, როგორც იტყვიან, ზედაპირზე ძევს. ეკონომიკა მნიშვნელოვან წილად ვითარდებოდა ექსტენსიური საფუძველზე, დამატებითი შრომითი და მატერიალური რესურსების წარმოებაში მოქცევის გზით, სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა ათწლეულობით არ იცვლებოდა, თუმცა საწარმოო ძალების განვითარება გვიკარნახებდა წარმოებითი ურთიერთობის გარდაქმნის საჭიროებას. აქედან მომდინარეობს ზრდის ტემპის შენელება, ეკონომიკაში უახლოეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ნაკლებად ეფექტიანი ათვისება.

ჩვენი უშუალო სკკპ-ბაასი ნაკლოვანებათა შესახებ აუცილებელი იყო და მიზნად ისახავდა იმას, რომ მაქსიმალურად გამოგვიყენებინა სოციალისტური წარმოების უპირატესობანი, რომელსაც თავისი ბუნებით აქვს მუდმივი განახლებისა და სრულყოფის უნარი. შეგახსენებთ, კ. მარქსის სიტყვებს, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის რევოლუციებზე ამბობდა, რომ ისინი „ხიდად აკრიტიკებენ საკუთარ თავს... უბრუნდებიან იმას, რაც უკვე შესრულებული ჩანიან, რათა ერთხელ კიდევ დაიწყონ ეს თავიდან, უმოწყალო საფუძვლიანობით ამასხარავებენ თავიანთი პირველი ცდების ორეულობას, სუსტ მხარეებსა და უმაქნისობას...“ (თხზ., ტ. 8, გვ. 123). ძლიერად არის ნათქვამი, კარგი ნათქვამია.

ასე რომ, თუ მოკლედ ვიტყვით, ყრილობაზე საღად შეავფასეთ ჩვენი ძალები, ჩვენი შესაძლებლობანი, დავინახეთ, რომ შეგვძლებია უკეთ მუშაობა. აი მთავარი მოტივი, რომელიც გვაიძულებს დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

რაც შეეხება დაჩქარების სტრატეგიის საერთაშორისო ასპექტებს ხაზგასმით უნდა აღვნიშნო შემდეგი. სოციალიზმი რაღაც იზოლირებული კუნძულის ფარგლებში როდი ვითარდება. მიმდინარეობს შეჯიბრება ორ საზოგადოებრივ სისტემას — სოციალისტურსა და კაპიტალისტურს შორის. ეს შეჯიბრება —

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: საუბრის დაწყების წინ. საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ნაყოფიერი თანამშრომლობის მაგალითი

2 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ფრედ ზინოვაცს, რომელიც მოსკოვში იმყოფება ავსტრიის სამრეწველო გამოფენის გახსნის გამო.

საქმიან და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში განიხილეს მ. ს. გორბაჩოვმა და ფ. ზინოვაცმა ფართო წრის საკითხები.

გამოითქვა კმაყოფილება სსრ კავშირისა და ავსტრიის ყოველმხრივი — პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობის წარმატებული განვითარების გამო, რომელსაც საფუძვლად უდევს 1955 წლის სახელმწიფო ხელშეკრულება და ავსტრიის რესპუბლიკის მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი. ეს არის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ნაყოფიერი მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითი.

დიდი შეფასება მიეცა ეკონომიკური თანამშრომლობის მიღწეულ დონეს და გამოითქვა მისწრაფება აიყვანონ იგი ახალ ეტაპზე აღმავალი ხაზით მისი შემდგომი განვითარების მიზნით, ამასთან გამოიყენონ ახალი ფორმები და გაითვალისწინონ ორივე ქვეყნის პერსპექტიული ინტერესები.

ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა სამეურნეო მექანიზმის იმ მასშტაბურ გარდაქმნათა ძირითადი იდეები და გეგმები, რომლებიც საბჭოთა კავშირში დაიწყო, და გაუზიარა აზრი პრობლემებზე. საბჭოთა საზოგადოების სრულყოფის პერიოდში რომ უნდა გადაწყვიტონ.

გაიმართა გაღრმავებული აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე. მ. ს. გორბაჩოვმა გულახდილ საუბარში შეაფასა ევნეკის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ შექმნილი სიტუაცია, დასავლეთის პოლიტიკა ბირთვული განიარაღების და უშიშროების საკითხებში, გააშუქა გეზი, რომლის განხორციელებასაც აპირებს საბჭოთა სახელმწიფო ვითარებაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას, როგორც ყველაფრიდან ჩანს, გადაწყვეტილი აქვს არ შეაჩეროს ომისათვის მატერიალური მომზადება.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ავსტრია, სხვა ნეიტრალური და მოუმხრობელი ქვეყნები ღონისძიებებში, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღება. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრიობის, პოლიტიკური პარტიების, მათ შორის სოციალ-დემოკრატიის, აქტიურ პოზიციას საერთაშორისო განვითარების ახლანდელ ფრიად პასუხსაგებ მომენტში.

ფედერალურმა კანცლერმა აღნიშნა, თუ რა კონსტრუქციული ხასიათი და მშვიდობიანი მიზანმიმართულება აქვს საბჭოთა ინიციატივებს, და გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე, ბოლოს და ბოლოს, მოხდება გარღვევა, და მოლოდინი, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოწვია ჟენევის შეხვედრამ, ამაო არ იქნება.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ განზრახული აქვთ აქტიურად შეუწყონ ხელი სრულიად ევროპის ჰელსინკის პროცესის განგრძობას.

• • •

2 აპრილს მოსკოვის კრასნაია პრესნიას საგამოფენო კომპლექსის უდიდეს პავილიონში გაიხსნა ავსტრიის ეროვნული გამოფენა. „ავსტრიის თანამედროვე სამრეწველო ტექნიკა“.

ცერემონიაზე გამოვიდა ფ. ზინოვაცი. მან თქვა, რომ ავსტრია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა გამორჩევა სტაბილურობით და მასზე ვერ მოქმედებს ვერავითარი გარეშე მოვლენები. ათწლეულების მანძილზე იგი ვითარდება აღმავალი ხაზით ორივე ქვეყნის ეკონომიკის სასარგებლოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ვ. ტალიზინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ავსტრიის რესპუბლიკასთან კეთილმეზობლობის შენარჩუნება და განმტკიცება საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული პრინციპული პოზიციაა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ დაადასტურა.

გაიმართა სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელშეწყობით ავსტრიის ეკონომიკის ფედერალური პალატის მიერ მოწყობილი ექსპოზიციის დათვალიერება. (საკდესი).

საუბარი კრემლში

2 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაციი ამ კრების მუდმივი საბჭოს თავმჯდომარის იან ხენ სების მეთაურობით, რომელიც აგრეთვე არის კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარე, ფხენიანის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე.

საუბრის დროს განიხილეს შექმნილი საერთაშორისო ვითარება, რომელიც იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების შედეგად უკანასკნელი კვირების მანძილზე სულ უფრო რთულდება. ამასთან დაკავშირებით ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი განაგრძობს თავის მშვიდობისმოყვარულ მეცადინეობას.

ამ გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი შეიძლება გახდეს ბირთვული იარაღის გამოცდების აკრძალვა. საბჭოთა კავშირი მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ამ საკითხის გამო ნებისმიერ დონეზე.

ბირთვული იარაღის გამოცდების დაუყოვნებლივ შეწყვეტა საბჭოთა კავშირს მიაჩნია უპირველესი მნიშვნელობის საკითხად — ეს აზრი წითელ ხოლად გასდევდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას ტელევიზიით ამა წლის 29 მარტს.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ განუხრელად ვითარდება საბჭოთა კავშირ-კორეის ურთიერთობა 1984 წლის მაისში მოსკოვში უმაღლეს დონეზე მიღწეული მორიგების შესაბამისად. საბჭოთა კავშირ-კორეის ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებას როგორც ეკონომიკურ და კულტურულ დარგში, ისე საერთაშორისო პოლიტიკის საქმეებშიც საგრძნობი შედეგები მოაქვს.

საბჭოთა ადამიანები, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ, ყოველთვის სოლიდარობენ კორეელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ალ თვისებრივ საფუძველზე. სოციალიზმს ისეთი აღმშენებლობითი შესაძლებლობანი მოსდგამს, რომ ჩვენ წინანდელზე უფრო რთული და მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტაც ხელგვაწყობს. თვითდამშვიდება ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის თვით ბუნებას, სოციალისტური საზოგადოების ბუნებას, ჩვენს მორალს.

სწორედ ამიტომ იყო, რომ XXVII ყრილობაზე გულახდილად და პატიოსნად აღინიშნა არა მარტო მიღწევები, არამედ აგრეთვე ჩვენი შეცდომები და ნაკლოვანებანი. გარკვეულწილად დაგვამშვიდა განვითარების შესაძლებლობებმა, რომლებიც, როგორც იტყვიან, ზედაპირზე ძევს. ეკონომიკა მნიშვნელოვან წილად ვითარდებოდა ექსტენსიური საფუძველზე, დამატებითი შრომითი და მატერიალური რესურსების წარმოებაში მოქცევის გზით, სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა ათწლეულობით არ იცვლებოდა, თუმცა საწარმოო ძალების განვითარება გვიკარნახებდა წარმოებითი ურთიერთობის გარდაქმნის საჭიროებას. აქედან მომდინარეობს ზრდის ტემპის შენელება, ეკონომიკაში უახლოეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ნაკლებად ეფექტიანი ათვისება.

ჩვენი უშუალო სკკპ-ბაასი ნაკლოვანებათა შესახებ აუცილებელი იყო და მიზნად ისახავდა იმას, რომ მაქსიმალურად გამოგვიყენებინა სოციალისტური წარმოების უპირატესობანი, რომელსაც თავისი ბუნებით აქვს მუდმივი განახლებისა და სრულყოფის უნარი. შეგახსენებთ, კ. მარქსის სიტყვებს, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის რევოლუციებზე ამბობდა, რომ ისინი „ხიდად აკრიტიკებენ საკუთარ თავს... უბრუნდებიან იმას, რაც უკვე შესრულებული ჩანიან, რათა ერთხელ კიდევ დაიწყონ ეს თავიდან, უმოწყალო საფუძვლიანობით ამასხარავებენ თავიანთი პირველი ცდების ორეულობას, სუსტ მხარეებსა და უმაქნისობას...“ (თხზ., ტ. 8, გვ. 123). ძლიერად არის ნათქვამი, კარგი ნათქვამია.

ასე რომ, თუ მოკლედ ვიტყვით, ყრილობაზე საღად შეავფასეთ ჩვენი ძალები, ჩვენი შესაძლებლობანი, დავინახეთ, რომ შეგვძლებია უკეთ მუშაობა. აი მთავარი მოტივი, რომელიც გვაიძულებს დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

რაც შეეხება დაჩქარების სტრატეგიის საერთაშორისო ასპექტებს ხაზგასმით უნდა აღვნიშნო შემდეგი. სოციალიზმი რაღაც იზოლირებული კუნძულის ფარგლებში როდი ვითარდება. მიმდინარეობს შეჯიბრება ორ საზოგადოებრივ სისტემას — სოციალისტურსა და კაპიტალისტურს შორის. ეს შეჯიბრება —

(დასასრული მე-2 გვ.).

მუსიკა ხალხისათვის

კონკრეტულად, საქმიანად, პარტიული მომთხოვნელობის პოზიციიდან იხილავენ თავიანთ შემოქმედებითს საქმეებსა და პრობლემებს კომპოზიტორთა VII საკავშირო ყრილობის დელეგატები. 2 აპრილს ყრილობამ მუშაობა განაგრძო მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტბანაში დარბაზში.

მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი ხელოვნებით ხალხის აღმშენებლობითს შრომაში, ხელი შეეწყოთ პატიოსანი, ძლიერი სულის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელსაც უნარი შესწევს იკისროს თავისი დროის ტვირთი, — ასეთია ქვეყნის მუსიკოსთა მრავალეროვნული რაზმის წარმომადგენელთა დისკუსიის მთავარი აზრი. ვწერეთ ადამიანებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა რ. შჩედრინმა (რუსეთის ფედერაცია), შემოქმედების არა მარტო ესთეტიკური, არამედ ეთიკური არსიცაა.

ჩვენში იწერება ბევრი პარადული, ოფიციოზური მუსიკა, რომელიც მსმენელებს გულგრილს ტოვებს, განაგრძო ამ თემაზე საუბარი ა. პეტროვმა (ლენინგრადი). ჩვენ დავეჩვიეთ ფიალს ვარიდებდეთ ნაკლოვანებებს საკუთარ შემოქმედებასა და კოლეგების ნაწარმოებებში. ასეთი სულოკლეობა შეფასებაში გზას უკაფავს სტანდარტულ, უღიმღამო ოპუსებს.

დრო მოითხოვს ჩვენი მუსიკალური ხელოვნების მოქალაქეობრივ, პატრიოტულ მიმართულებას, თქვა ბ. ტერენტიევმა (მოსკოვი). სწორედ ასეთი მუსიკა უნდა იყოს მიმართული მილიონობით მსმენელისადმი.

ჩვენი მუსიკა აღალმართულად უნდა ასახავდეს ცხოვრების რთულ დიალექტიკას, ამასთან რჩებოდეს შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული,

(დასასრული მე-2 გვ.).

რომ არ მოვაკლოთ თვალი

26-27 აპრილს

რესპუბლიკის

ბაღ-ვენახების

დათვალიერებაა

რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების ბაღ-ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების, სარეველების, მავნებელ-დაავადებათა ლიკვიდაციისა და მოსავლის მაქსიმალურად შენარჩუნების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი 26-27 აპრილს აწყობს საზოგადოებრივ მეურნეობათა ბაღ-ვენახების დათვალიერებას.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვი სათანადო ბრძანებით აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის აგროსამრეწველო კომიტეტებს, რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებსა და რესპუბლიკის სათანადო გაერთიანებებს ავალებს, რომ დათვალიერების ორგანიზებულად მოწყობისათვის შექმნან რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული კომისიები. ასეთივე კომისიები უნდა შეიქმნას თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობაში, რომლებმაც დათვალიერების მასალები რაიონულ კომისიებს უნდა წარუდგინონ 26 აპრილამდე.

საზოგადოებრივ მეურნეობებში, აგროუნივერსალებსა და ბრიგადებში ბაღ-ვენახების მოვლა-პატრონობის მდგომარეობა უნდა შეფასდეს ხუთბალიანი სკალით.

საზოგადოებრივი მეურნეობის, აგრეგანყოფილებისა და ბრიგადების საქმიანობა თუ 2 ან 3 ბალით შეფასდება, მათი ხელმძღვანელების საკითხი განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეცემა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

მასალები და სათანადო მოხსენებითი ბარათები დათვალიერების საბოლოო შედეგების შესახებ მოწინავე და ჩამორჩენილი საზოგადოებრივი მეურნეობების მაჩვენებლების აღნიშნვით რესპუბლიკის სახაგრომრეწვში უნდა წარადგინონ 29 აპრილამდე.

გულდადებით მოვუაროთ ბაღ-ვენახებს, ახალი წარმატებებით შეეხვედეთ რესპუბლიკურ დათვალიერებას, მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს მივიღოთ ხილისა და ყურძნის უნვი მოსავალი! — ასეთია მეხილეთა და მევენახეთა საღღეისო საზრუნავი.

დრო გვიკარნახებს დაჩქარებას

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი აქტიურად ჩაება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მუშაობაში. ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ რა მხარს პარტიის გენერალურ გეზს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რესპუბლიკის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. დაიცვან მშვიდობა დედამიწაზე. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი ალჟირის ჟურნალ „რევოლუსიონ აფრიკენისადმი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ჩვენ კი გვწადია, რომ იგი იყოს მშვიდობიანი და მხოლოდ მშვიდობიანი — თავისთავად გვავალებს ვიზრუნოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. სოციალიზმს არა აქვს უფლება ჩამორჩეს. დღევანდელი რესურსების მქონე პარტია, — ეს კი არის არა მარტო საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, არამედ უწინარესად ადამიანები, რომლებსაც უყვართ თავიანთი ქვეყანა და მზად არიან ყველაფერი იღონონ, რათა იგი ყვაოდეს — სავსებით სწორად და მტკიცედ დაადგა ქვეყნის განვითარების დაჩქარების კურსს.

კითხვა: იქმნება შთაბეჭდილება, რომ იმ პრობლემათა შორის, რომლებსაც ყურადღებას შეიტანთ, სსრ კავშირის ეკონომიკასთან, სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები თქვენი მთავარი ზრუნვის საგანია. განვითარების სტრატეგიული მიმართულებანი დასახულია დაჩქარების პროცესის გათვალისწინებით, რომელსაც დასაბამი თქვენ მიეცით. როგორია ახალი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, საშუალებები და მიზნები?

პასუხი: გარკვეულწილად უკვე გავეცი პასუხი ამ კითხვას, მაგრამ, ალბათ, ერთხელ კიდევ უნდა ვთქვა: ეკონომიკა და, რაღა თქმა უნდა, სოციალური პოლიტიკა კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, მთავარი საზრუნავია.

რაც შეეხება დაჩქარების სტრატეგიას, იგი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს: ეკონომიკას, მეცნიერებასა და ტექნიკას, სოციალურ სფეროს, საზოგადოების სულიერ ცხოვრებას. ერთ შემთხვევაში უშუალოდ, მეორე შემთხვევაში გაშუალებულად.

ჩვენ დავიწყეთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევათა ბაზაზე, მაქსიმალურად ხელშემწყობ პირობებს ეუქმნით მეცნიერების — როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერების — განვითარებას. ეცვლით სტრუქტურულ და საინვესტიციო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოფილ მანქანათმშენებლობის, მრეწველობის სხვა ავანგარდული დარგების დაჩქარებული ზრდა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყოველივე ეს განზრახვები, სურვილები კი არა, დღევანდელი ჩვენი მუშაობის ორგანული ნაწილია.

ეკონომიკური სტრატეგიის მეორე დიდმნიშვნელოვანი რგოლია რადიკალური ეკონომიკური რეფორმები, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა. მისი არსია საწარმოო გაერთიანებებისა და და საწარმოების დამოუკიდებლობის გაფართოებასთან და პასუხისმგებლობის გადიდებასთან ცენტრალიზებული დაგეგმვის უპირატესობათა ჰარმონიული შეხამება. მიმართულება კი აშკარაა — მთელი ჩვენი წარმოება დავუქვემდებაროთ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. მართვას მიზნად დავუსახოთ ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება. ერთი სიტყვით, ისე ვიმოქმედოთ, რომ მთელი სახალხო მეურნეობა დინამიკურად, მე ვიტყოდი, თვითრეგულირების რეჟიმით მუშაობდეს.

ჩვენთვის დაჩქარების სტრატეგია პოლიტიკური სისტემის, სოციალისტური დემოკრატიის სისტემის განვითარებაა, რომელშიც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. ჩვენს ზამოცანად მიგვაჩნია ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავება, წმრომელების რაც შეიძლება სრულად ჩაბმა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. არსებითად რომ ვთქვათ, ფართო დემოკრატია ის აუცილებელი კლიმატია, რომლის პირობებშიც სრულად ვლინდება როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების აღმშენებლობითი შესაძლებლობანი. და იწყება იგი შინაპარტიული დემოკრატიით, საზოგადოებისათვის ყველა საჭირბოროტო პრობლემის თავისუფალი, გულახდილი განხილვით, ისე როგორც ეს იყო ყრილობისწინა დისკუსიისა და თავად XXVII ყრილობაზე.

სოციალისტურ დემოკრატიაზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამოიწუროს შედარებით მოკლე პასუხით. აქ საჭიროა საფუძვლიანად ვიმსჯელოთ აგრეთვე ჩვენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, იმაზე, თუ როგორ იგება სახალხო დეპუტატთა საბჭოების და მათი მრავალმილიონიანი აქტივის მუშაობა. ახლა მინდა ყურადღება მივაპყრო შემდეგს. ყრილობაზე მწვავედ დაისვა სახელმწიფო, პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში საჯაროობის საკითხი. ვფიქრობთ, რომ სიმართლე არ შეიძლება იყოს ნაკლები ან მეტი. სიმართლე ყოველთვის ერთია და იგი სრული უნდა იყოს.

ყველაფერზე ვლაპარაკობთ გულახდილად, ვინაიდან გვწამს ჩვენი ძალები და ვიცით არა მარტო ის, თუ რა უნდა გავაკეთოთ, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა ვაკეთოთ. დავძენ, რომ პარტიის ავტორიტეტი მხოლოდ მტკიცდება, როცა მას შეუძლია აყენებდეს სწორ ამოცანებს და ყურად იღებდეს მშრომელთა ხმას, იცის მათი აზრი, უშიშრად აფასებს თავის შეცდომებს.

და, რა თქმა უნდა, დაჩქარების სტრატეგიის სული და გული ძლიერი, მთლიანი სოციალური პოლიტიკაა, წარმოება თავისთვის როდი არსებობს. წარმოება ხალხისთვის არსებობს. სხვაგვარად არ შეიძლება იყოს სოციალისტურ პირობებში, სადაც არ არის კერძო საკუთრება, სადაც ყველა საწარმო სახალხოა და ხალხის საჭიროებებს ემსახურება. ჩვენთან ქვეყანაში ხომ არ არიან მდიდრები, რომლებიც წარმოებას საკუთარ ინტერესებს უქვემდებარებდნენ.

ნათქვამს მინდა დავძინო, საშუალო და უმაღლეს განათლებას რომ გარდავქმნით, ვცდილობთ გავუმჯობესოთ ჯანმრთელობის დაცვა, ვაშენებთ სანატორიუმებს, დასასვენებელი სახლების, კულტურის კერების, სპორტული კომპლექსების ახალ ქსელს — ყოველივე იმას, რაც საბოლოო ანგარიშით, ემსახურება პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის, ადამიანთა შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო მატერიალური პირობების შექმნას, მუშაობისათვის, რომელიც არა მარტო მდიდარს ხდის საზოგადოებას, არამედ სულიერადაც ამდიდრებს ადამიანს.

კითხვა: თქვენ მხარს უჭერთ წარმოების ორგანიზაციის საკითხებში და შრომის ფაქტორის შეფასებაში ახალ მიდგომას, ამასთან მხედველობაში გაქვთ მათი ეფექტიანობის გაზრდა. ეს იწვევს გადატრიალებას ჩვეულებრივსა და შეხედულებებში. როგორ ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ ახალი სტუაციისათვის?

პასუხი: საინტერესო კითხვაა, თუმცა, მე ვფიქრობ, მას საჭირო პასუხი უკვე გასცა XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

რაც შეეხება შრომის ორგანიზაციას, ჩვენი ორიენტაცია ასეთია — ქალაქად და სოფლად სამეურნეო ანგარიშის მოგვარება, ყველა საწარმოს რენტაბელობისა და თვითნაზღაურობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური სტიმულირების ფართო გამოყენება, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ინსტრუმენტების სწორი გამოყენება, სოციალისტური გეგრგილიანობის წახალისება, მწარმოებლებისა და მომხმარებლების პირდაპირი კავშირის დამყარება.

როცა ხელი მოვკიდეთ სახალხო მეურნეობაში ეკონომიკური ექსპერიმენტების განხორციელებას, ისინი კი ახლა ფართოვდება, დავრწმუნდით, რომ უკვე პირველი ნაბიჯები იძლევა საგრძნობ უკუგებას. აქ ორმაგი მოგებაა: იგებს საზოგადოება, რომელიც მეტ საკრონ და ხარისხიან პროდუქციას იღებს; იგებს შრომითი კოლექტივი, ვინაიდან მას ეძლევა უფლება თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს მიღებული შემოსავლის დიდი წილი.

რაც შეეხება შრომის, თითოეული ადამიანის შრომითი ძალისხმევის შეფასებას, ვხელმძღვანელობთ ცნობილი მარქსისტული ფორმულით: „თითოეულისგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. სწორედ ეს არის სოციალური სამართლიანობა, როცა ყოველი ადამიანი იღებს იმდენ სიკეთეს, რამდენიც თავისი მუშაობით დაიმსახურა.

თქვენს კითხვაში ლაპარაკობთ ჩვეულებებსა და შეხედულებებში გადატრიალებაზე, გვეკითხებით, როგორ ეგზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ ახალი სიტუაციისათვის.

ჩვენ ომი გამოვუცხადეთ კონსერვატიზმს, ბიუროკრატიზმს, უყაირათობას, დისციპლინის დარღვევას, უძრაობას ,,ყველაფერში. ვფიქრობ, რომ პარტიის მთელი საქმიანობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, პარტიის XXVII ყრილობისთვის მზადების პერიოდში, მისი მუშაობის მიმდინარეობა გვარწმუნებს, რომ ჩვენს კურსს გაგებით ეკიდებიან და ენერგიულად უჭერენ მხარს კომუნისტები, მშრომელთა უფართოესი მასები. მაგრამ მუშაობა, რა თქმა უნდა, მოგველის დიდი, და საქმისადმი ახალი მიდგომის კვალობაზე უნდა გარდაიქმნან ხელმძღვანელები, ყველა მშრომელი — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია.

კითხვა: არ ფარავთ თქვენს ფინანსურ სიძნელეებს იმაში, რაც ეხება სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესთან დაკავშირებული მიზნების განხორციელებას. თუ საერთაშორისო ურთიერთობა არ შეიცვლება მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმის სასიკეთო მიმართულებით, როგორ აპირებთ მიიღოთ ამ თვალსაზრისით ახალ ეტაპზე გადასვლისათვის საჭირო სახსრები?

პასუხი: აქ რაღაც ასე არ არის. ჩვენ საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას არ ვუჩივით, თუმცა ზედმეტი სახსრებიც არა გვაქვს. ,,ით უმეტეს, რომ დამოწმეული იმპერიალისტური პოლიტიკის გამო გვიხდება რესურსების ნაწილი მოვახმაროთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ამას მომავალშიც ვიზამთ: საბჭოთა ხალხის, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების მშვიდობიან შრომას კვლავაც საიმედოდ დავიცავთ.

მაგრამ საჭირო სახსრები იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, გვაქვს. ჩვენ ორიენტაციას ვიღებთ, უწინარეს ყოვლისა, შინაგან დაგრეგვებზე. ეს ერთადერთი საიმედო გზაა. ვინ-ვინ, ჩვენ კი ვიცით, რომ თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის პრაქტიკაში იმპერიალიზმმა შემოიღო ისეთი არაცივილიზებული ხერხები, როგორიც არის დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა, სანქციები, ეკონომიკური ბლოკადები, ემბარგო, სავაჭრო აკრძალვები და ა. შ.

ჩვენ გვეყოფა მატერიალური შესაძლებლობანი ჩვენი გეგმების რეალიზაციისათვის. მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის კურსი, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, არა მარტო მოითხოვს დანახარჯებს, არამედ ამავე დროს ქმნის დამატებით რესურსებსაც. ცხადია, საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ საზოგადოება ვითარდება, მდიდს წინ შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების ეფექტიანობის გადიდების საფუძველზე. ბევრს მოგვცემს სახსრების ბრუნვის დაჩქარება. მე უკვე აღარაფერს ვამბობ ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, კაპიტალური მშენებლობის ძირეულ გაუმჯობესებაზე და ა. შ.

უდავოა, რომ განვითარების ინტერესებისათვის გამოვიყენებთ საზღვარგარეთთან ჩვენს ფართო ეკონომიკურ ურთიერთობასაც. ეს ნორმალური მოვლენაა. მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენს გეგმებს როდი ვხდით დამოკიდებულს ჩვენი ქვეყნის მიმართ სხვა სახელმწიფოთა ზრახვებზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ვიყავით და კვლავ ვართ ფართო საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობის მტკიცე მომხრენი.

კითხვა: შეჯიბრება სამხედრო დარგში დასავლეთთან და, განსაკუთრებით, „ვარსკვლავთა ომის“ პროექტი, უთუოდ, უდიდესი დაბრკოლებაა თქვენი ეკონომიკური და სოციალური გეგმებისათვის. მაგრამ ყველივის უმაღლესი დონის შეხვედრასა და თქვენს 1986 წლის 15 იანვრის განცხადებას უნდა დაესახა მთელი კაცობრიობის უფრო მშვიდობიანი და სასიკეთო განვითარების პერსპექტივები. რას უნდა ველოდოთ თეთრი სახლის მეთაურთან თქვენი მომავალი შეხვედრისაგან?

პასუხი: რა გაეწყობა, მოდით, დავუბრუნდეთ ჟენევის შეხვედრას. ჩვენ სერიოზულად მოვეკიდეთ მას. შეხვედრის წინ წამოვაყენეთ კონსტრუქციული წინადადებანი. შეგახსენებთ მათ.

გასული წლის 6 აგვისტოდან საბჭოთა კავშირმა ნახევარი წლით დაიწია ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმი. შევთავაზეთ ვაშინგტონს მიბაძა ჩვენი მაგალითისათვის, რათა მორატორიუმი მუდმივი, **მარადიული** ყოფილიყო. იმით გვიპასუხეს, რომ მიგვიწვიეს ნევადის შტატში მორიგ ბირთვულ აფეთქებაზე.

ახალი, 1986 წლის წინ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის წლად გამოაცხადა, განვაცხადეთ, რომ ბირთვული აფეთქების მორატორიუმს კიდევ სამი თვით ვახანგრძლივებთ. პასუხი იყო ამერიკული ბირთვული აფეთქებანი.

და ბოლოს, სულ ახლახან, ექვსი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მომართვასთან დაკავშირებით, მივიღეთ გადაწყვეტილება დავიცვათ მორატორიუმი ამერიკის მხრიდან პირველ ბირთვულ აფეთქებამდე. და მაშინვე პენტაგონი აჩქარებს ახალ ბირთვულ გამოცდებს. აქედან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ დასკვნებს გამოტანდნენ სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებიც, საერთაშორისო საზოგადოებრიობაც. დღეს განსაკუთრებით ცხადია, ვინ ვინ არის მსოფლიო პოლიტიკაში. მილიტარიზმმა, რომლის იდეოლოგიაც გაბატონებულია იმპერიალიზმის წამყვან ქვეყნებში, ბოლომდე გამოიაშკარავა თავი.

ახლა შევეხოთ მიმდინარე წლის 15 იანვრის ჩვენს წინადადებებს. აღარ შეგახსენებთ მათს შინაარსს. იგი ცნობილია. ეს რაღაც უფრო მეტია, ვიდრე სერიოზული დიალოგის გასამართავად მოწვევა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მთლიანი და წრფელი პროგრამა, თუ როგორ ვაქციოთ მსოფლიო უსაფრთხოდ, მოვაშოროთ მას ბირთვული იარაღი, არ დავუშვათ გამალებული შეიარაღება კოსმოსში, სერიოზულად შევაკვეცოთ ჩვეულებრივი შეიარაღება.

ამერიკის შეერთებული შტატები დიდხანს, თვეზე მეტს ფიქრობდა. მე აღრეც მილაპარაკია ამერიკის პასუხზე. ჩვენ ვერ გავიგონეთ ვერც მკაფიო თანხმობა, და ვერც აღმინისტრაციის კონსტრუქციული იდეები გამალებული შეიარაღების ბოროტ ლოგიკის დაძლევის თაობაზე.

უფრო მეტიც, ავიღოთ ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ინიციატივა, რომელიც გარკვეულწილად ეხმიანება ამ პრობლემის შესახებ ამერიკის წინანდელ მსჯელობას, — იმასაც კი უგულებელყოფენ. ჩვენ ვხედავთ — ასე ხდება არა მარტო ევენევის, არამედ სხვა მოლაპარაკებებზეც: საკმარისია გადავდგათ ნაბიჯი ამერიკის პოზიციისაკენ, რომ შეერთებული შტატები ნაბიჯით უკან იხევს ამ პოზიციისაგან.

შეიძლება კია გაუმჯობესდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, თუ არ იქნა პრაქტიკული გადაწყვეტები გამალებული შეიარაღების შეკვეცისათვის, შეიძლება კია ვესწრაფვოდეთ ნდობას, და ამავე დროს არსენალებს ვავსებდეთ ომის სულ უფრო დავეწყლი იარაღით? დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობას მოგვტანს სხვა გზა, გამალებული შეიარაღებიდან განიარაღებისაკენ გადასვლის გზა.

ამისათვის უნდა უკუვაგდოთ აზროვნების ძველი ხერხი, როცა ძველი რომის ლეგიონერთა პოსტულატს „თუ მშვიდობა გინდა, ემზადე ომისათვის“ — იმპერიალიზმის ლიდერები დღესაც უსადაგებენ საერთაშორისო ურთიერთობას.

უმაღლესი დონის შეხვედრამ ,,ალი შეაღო იმედის სამყაროში. მაგრამ როგორ შეაშინა სინათლის ამ სხივმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან დაკავშირებული ადამიანები! როგორი ძალით მოაწყდნენ ისინი ამ „ალს“, რათა მოეკეტათ იგი!

ვერც მე, და ვერც ჩემი ამხანაგები — პარტიის ხელმძღვანელები ვერ მივმხდარვართ: მაინც რას ესწრაფვის ამერიკის აღმინისტრაცია? ომს? მაგრამ, ვფიქრობ, ვაშინგტონში კარგად აქვთ წარმოდგენილი, რა არის ბირთვული ომი. მაშ, რაღას ნიშნავს ყველა ეს ცდა დაკონსერვონ კონფრონტაცია, უფრო მეტიც, გააღვივონ იგი, რას ნიშნავს აგრესიული რიტორიკის მორიგი აფეთქება? რა მიზნები ისახავს და რა კონკრეტულ ინტერესებს ემსახურება ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ნიკარაგუაში, ლიბიისა და ავღანეთის წინააღმდეგ, სამხედრო ხომალდების მიერ სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების საზღვრების დარღვევა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პირველყოფილი რეჟიმის მხარდაჭერა და ბევრი სხვა რამ, რაც ახასიათებს დღეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ქცევას.

ისიც ვიცით, რომ იმედოვნებენ საბჭოთა კავშირს ქანცი გაიცალოს გამალებულ შეიარაღებაში. ეს დიდი ხნის წინანდელი და, პირდაპირ ვიტყვი, უშკეო იმედია. არაფერი აქედან არ გამოვა, ასე რომ, ტყუილად ხარჯავენ ამერიკელები ფულსაც და ძალებსაც ამ დოქტრინის განსახორციელებლად, რომელიც დიდი ხანია უკვე ჩაეშალათ.

მაგრამ ეს, ჟენევის მარტო საბჭოთა კავშირს როდი ეხება. ისინი ლახავენ განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესებს, ვნებენ ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მოკავშირეებს. კაცმა რომ თქვას, თვითონ შეერთებული შტატებიც სულ უფრო ღრმად ეფლობა მისი იმპერიული მილიტარისტული პოლიტიკის წყალობით წარმოქმნილი საგარეო და საშინაო პრობლემების ჭაობში.

ჟენევის შემდეგ ვაშინგტონის მოქმედება ეწინააღმდეგება მიღწეულ მორიგებებს. იქ ძლიერდება ჟენევის საწინააღმდეგო სინდრომი, რაც, რა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებს უქმნის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ,ურთიერთობის განვითარებას.

კითხვა: მშვიდობა მარტო ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია და კოსმოსში მისი განულაგებლობა როდია. ჯერ კიდევ ბევრი ჩაგრული ხალხისათვის იგი იწყება ეროვნული სუვერენიტეტის უფლებებით. მაგრამ ბევრ ერს, რომლებიც ათეულწლობით იბრძვიან სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ვერ მიუღწევიათ თავიანთი მისწრაფებების დაკმაყოფილებისათვის, იმის გამო, რომ საკმაოდ აქტიურად და თანამიმდევრულად არ უჭერენ მხარს საერთაშორისო ასპარეზზე. რით შეგიძლიათ ახსნათ მსოფლიოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახლანდელი დაქვითება?

პასუხი: მოვიშველიოთ ისტორია. ბოლო ათწლეულების მანძილზე დაინგრა კოლონიური იმპერიები, გაიმარჯვეს ანტიკოლონიურმა რევოლუციებმა, აღორძინდა და შეიქმნა ათობით ახალი სახელმწიფო. დღეს განთავისუფლებული ქვეყნები შეადგენენ კაცობრიობის თითქმის ნახევარს, და ისინი ბევრად განსაზღვრავენ მსოფლიოს მოვლენათა ხასიათსა და მიმდინარეობას. დარწმუნებული ვარ: მათი როლი, მიუმხრობლობის მოძრაობის როლი საერთაშორისო საქმეებში, იმის გასაზღვრაში, თუ როგორი მარშრუტით განაგრძობს გზას ცივილიზაცია, სულ უფრო გაიზრდება, ასე რომ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა შედეგებს წარუვალი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები, აშკარად აცხადებენ: ჩვენი სიმპათიები მთლიანად იკუთვნის თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ხალხებს. ჩვენ ვუწევდით და კვლავაც გავუწევთ მათ ფართო მხარდაჭერას — პოლიტიკურს, მორალურს, მატერიალურს, ხაზს ვუსვამ, რომ ამასთან საბჭოთა კავშირი არ ეძებს თავისთვის არავითარ ცალმხრივ — პოლიტიკურ ან ეკონომიკურ — სარგებელს.

სწორია სხვა რამეც. განთავისუფლებული ხალხები, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და საკუთარ ხელში აიღეს თავიანთი ბედი, იძულებული არიან აწარმოონ მძიმე ბრძოლა ეკონომიკური ჩამორჩენილობის, სიღატაკის დაძლევისათვის, თავისი სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. ფეხქვეშ რომ ამოიდონ, შემუსრონ განთავისუფლებული ქვეყნები, შეაჩერონ ისტორიის სვლა, იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის იმპერიალიზმის ძალები, არაფერს არ თაკილობენ. მიმართავენ ეკონომიკურ დივერსიებს, პოლიტიკურ პროვოკაციებს, პირდაპირ ძალისმიერ ზემოქმედებას. ამ კურსს საფუძვლად უდევს ნაჩქარევად შეთხზული „ახალი გლობალიზმის დოქტრინა“. კაცმა რომ თქვას, ახალი აქ არაფერია, ცდილობენ დაუბრუნდნენ ყაჩაღობის ,ველ, ასე ვთქვათ, კლასიკურ სისტემას.

სხვა რა არის, ამერიკის შეერთებული შტატების მეკობრული აქციები ლიბიის ნაპირებთან, თუ არა ძველი „ზარბაზნების პოლიტიკა“. სწორედ ასე აღიქვამენ მას მთელ მსოფლიოში. როგორც ჩანს, ჭკუა ვერ ასწავლა ძველმა გაყვეთილებმა ვაშინგტონს, რომელსაც არაერთხელ უზღავს თავისი სამხედრო ავანტიურების გამო. ამერიკის შეერთებული შტატების ანტილიბიური მოქმედება რაღაც ერთეული როდია. რა ფანტაზიები არ გაავრცელეს ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა სსრ კავშირის, კუბის მიმართ, რათა გაემართლებინათ ნიკარაგუის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურის გაფართოება.

ამერიკის აღმინისტრაციამ გულში ჩაიკრა ავღანელი დუშმანები, ანგოლაში უნტელი ბანდიტებიც, სამხრეთაფრიკელი რასისტებიც. და, თურმე, ყოველივე ამას შერება მშვიდობისა და თანასუფლების იდეალების დამკიდრებისათვის. ეჭვი არ მეპარება, ამერიკა რომ სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში არ ერეოდეს, რეგიონალური კონფლიქტები შემცირდებოდა, გაიკეთებთ უფრო ადვილად და სამართლიანად გადაწყდებოდა.

მეტად საგულისხმოა ის, რომ იზრდება საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პრობლემათა გადაჭრისა და განთავისუფლებული სახელმწიფოების საიმედო, მტკიცე და დამოუკიდებელი განვითარების უზრუნველყოფის ორგანული ურთიერთკავშირის გაგება.

კითხვა: მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა არავის არ აუარა გვერდი, განსაკუთრებით კი „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს. ნავთობის ფასების დაქვეითება, სხვა სახეობის ნედლეულის ფასების განუწყვეტელი შემცირება, სურსათის ნაკლებობა მსოფლიოში — ეს ყველა ის პრობლემაა, რომლებიც ქმნის იმის საშიშროებას, რომ გაიზრდება დიდი საგარეო ვალით დაძმანებული „მესამე სამყაროს“ ქვეყნების დამოკიდებულება. სსრ კავშირსაც ეხება ამ კრიზისის ზოგიერთი გამოვლინება. რა როლის შესრულებას შეძლებს საბჭოთა კავშირი მისი დაძლევის გზების ძიებაში?

პასუხი: გეთანხმებით. განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა შემაშფოთებელია, ზოგიერთისა კი — ტრაგიკულიც.

რა ხდება? იმპერიალიზმი, რომელსაც ეს ქვეყნები არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში ჰყავს, მათ აკისრებს საკუთარ ეკონომიკაში არეულობის შედეგებს. აქედან გამომდინარეობს უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ნედლეულის ყველაზე დაბალი ფასები, ნავთობის ფასების დაქვეითება, სურსათის ნაკლებობა. ექსპლოატაციას უწევს რა ახალგაზრდა სახელმწიფოებს, იმპერიალიზმი ჯიბეს ისქელებს, მდიდრდება. ბევრად მათ ხარჯზე აფინანსებს იგი გამალებულ შეიარაღებას. და აი, რა ხდება: ერთი მხრივ — განვითარებად ქვეყნების ტრილიონიანი ვალი, მეორე მხრივ — ტრანსეროვნული კორპორაციებისა და ბანკების ზემოგება.

ამ იმპერიალისტურ პოლიტიკას კარგად იცნობენ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში და, კაცმა რომ თქვას, ყველგან მსოფლიოში. ეს ხომ ფაქტია, რომ განვითარებადი სახელმწიფოები მარტო საგარეო ვალის პროცენტების გადახდას წელიწადში ახმარებენ 100 მილიარდ დოლარზე მეტს. იხდიან მეტს, ვიდრე იღებენ ახალ კრედიტებს. ან სხვა მეტყველი ფაქტი: ამერიკის ტრანსეროვნული კორპორაციები ლათინურ ამერიკაში დაბანდებული თითოეული დოლარისათვის იჯიბავენ ორდოლარ-ნახევარ მოგებას. მკაცრი ბუღალტერიაა, მაგრამ იმპერიალიზმმა სხვანაირი არ იცის.

საბჭოთა კავშირისათვის სრულიადაც არ არის სულ ერთი საქმის ასეთი ვითარება. ჩვენი მხრივ ჩვენი საგარეო ვაჭრობით მასტაბილირებელ გავლენას ვახდენთ მრავალი საქონლის, მათ შორის განვითარებადს ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის ბაზრებზე. ამავე მიმართულებით მუშაობს ამ ქვეყნებისადმი სსრ კავშირის ეკონომიკური და ტექნიკური ხელშეწყობა, რომელიც მათ ეხმარება მეცნიერებისა და მრეწველობის ეროვნული ბაზის ფორმირებაში, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციაში. ჩვენი კრედიტები იფარება ახალგაზრდა სახელმწიფოთა ექსპორტის განვითარების გზით და ამიტომ აქ არ წარმოიშობა დავალიანების დრამა.

გასაგებია, რომ მსოფლიო ბაზრებზე მოვლენები გარკვეულწილად გავლენას ახდენს ჩვენზეც. კრიზისი დასავლეთში ამცირებს მოთხოვნას ჩვენს ექსპორტზე. ინფლაცია აძვირებს იმპორტს.

როგორ ვუმკურნალოთ მსოფლიო ეკონომიკას? განვითარებად სახელმწიფოებთან ერთად ვიდვწით იმისათვის, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა გარდაქმნას სამართლიან, დემოკრატიულ საფუძვლებზე. ასეთი გარდაქმნის დაწყება შეიძლებოდა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის პროგრამის უმნიშვნელოვანეს დებულებათა განხორციელებით. მას სავსებით შეესატყვისება სახელმწიფოთა ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის ჩვენეული კონცეფცია. იგი ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამორიცხოს ყველა ფორმის დისკრიმინაცია, სამართლიანად მოწესრიგდეს ვალის პრობლემები, გაერთიანდეს ყველა ქვეყნის ძალისხმევა გლობალური პრობლემების, მათ შორის, რა თქმა უნდა, განვითარების პრობლემის გადაჭრაში.

მინდა გავიმეორო: მშვიდობა და განვითარება განუყოფელია და მათს მიღწევაში სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ძირეული ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

კითხვა: ჩვენს ქვეყნებს ბევრი საერთო აქვთ ხალხთა განთავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმისადმი მიდგომაში. ჩვენ შორის ურთიერთობა ძალიან დიდი ხნის წინათ დამყარდა, და დადგა დრო, შეეჯამოთ შედეგები, რათა ობიექტურად შევაფასოთ მისი მნიშვნელობა და დავსახოთ შემდგომი განვითარების რეალური გზები. რას გვიმზადებს მომავალი ამ დარგში?

პასუხი: სწორედ ეს იყო საგანი შინაარსიანი და ნაყოფიერი მოლაპარაკებისა, რომელიც გვქონდა აქ ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ შ. ბენჯედიდთან. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დღეებში სსრ კავშირმა და ალჟირმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რამდენად სასარგებლო და ღრმაშინაარსიანი შეიძლება იყოს თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის საწყისები.

რა მოგველის? სსრ კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამის შესაბამისად კიდევ უფრო განვითარდება საბჭოთა კავშირ-ალჟირის ეკონომიკური ურთიერთობა. ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობისა და გაზის მრეწველობა, გეოლოგია, ლითონდამუშავება და მანქანათმშენებლობა, სოფლის, წყლისა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა — ასეთია იმ დარგების არასრული ნუსხა, რომლებშიც დასახული ვგვაქვს განვახორციელოთ საინტერესო ერთობლივი პროექტები.

დარწმუნებული ვართ, რომ უაღრესად პერსპექტიულია ჩვენი თანამშრომლობა ეროვნული კადრების მომზადებაში. ცოდნა, კულტურა, გამოცდილება — ყოველივე ეს საარსებოდ მნიშვნელოვანია როგორც დღევანდელი დღის, ისე, უფრო მეტად, ხვალინდელი დღისთვისაც.

საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება კვლავ გვარწმუნებს, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყნები თანამგზავრები კი არა, ნამდვილი პარტნიორები არიან. ასევე ეხება ეს ახალი სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესის დამკვიდრებას, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევას თითოეული ხალხის იმ უფლებების მკაცრი დაცვის საფუძველზე, რომ თავად განსაზღვროს საკუთარი გზა მომავლისაკენ.

ერთი სიტყვით, სავსებით კმაყოფილი ვართ. მოლაპარაკების შედეგებით და გვწამს, რომ მიღწეული მორიგებანი კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესებს.

• • •

მ. ს. გორბაჩოვი: მოგესალმებით, მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა. განსაკუთრებით მესიამოვნება ეს ახლა, საბჭოთა კავშირში თქვენი რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ბადლი ბენჯედიდის ვიზიტის დამთავრების შემდეგ. ეს იყო დიდი მოვლენა ჩვენს ურთიერთობაში, და ვფიქრობ — საერ

ინფორმაციი
ფაქტები • მოვლენები

მტკიცე რწმენით, ურყევი კურსით

მუშაობა დაიწყო ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობამ

სოფია. აქ გაიხსნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა. სოფიის კულტურის სახლში სახალხეში თავი მოიყარეს დელეგატებმა — მუშათა კლასის, გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 1500-ზე მეტი ერთეული ქვეყნების 130-ზე მეტი დელეგაცია. სკკპ დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

დელეგატები განიხილავენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომი შენებლობისათვის გამოცხადებული პარტიის პოლიტიკისა და მისი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ძირეულ საკითხებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს ყრილობისადმი, სხვა დოკუმენტებს, აირჩევენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ტ. ჟივკოვმა. მან აღნიშნა, რომ გასული პერიოდი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში ნაყოფიერი იყო. მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებიც განაპირობა არა მარტო პრობლემების სირთულემ, არამედ, აგრეთვე შეცდომებმა და ნაკლოვანებებმა, ბულგარეთმა ეკონომიკური ზრდის სწრაფი და სტაბილური ტემპს მიაღწია. შესამჩნევი მიღწევებია ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალიზმის სამყაროს განვითარებაში ისტორიულ მოვლენად იქცა სკკპ XXVII ყრილობა, განაცხადა ორატორმა. იგი უაღრესად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დინამიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის განხორციელებისათვის.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამა კაცობრიობის წინაშე სახავს იმ პერსპექტივას, რომ 21-ე საუკუნეს მშვიდობიანი ცით შეეგებოს. ახლა არ არის გონიერი ადამიანი, რომ გულგრილად მოჭიდოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოწოდებას — შეწყდეს ბირთვული გამოცდა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც შეიტანს წვლილს მომძე სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, ბირთვული საფრთხის აღმოფხვრისა და ევროპისა და მსოფლიოს საქმეებში უკეთესობისაკენ შემობრუნებისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

ჩვენ ვაცხადებდით და კვლავ ვაცხადებთ: აღმშენებლობითი შრომით დასაქმებულ ჩვენს ხალხს ყველაზე მეტად დაძაბულობის შენელება და მშვიდობა სჭირდება. ბულგარელი კომუნისტები, ყველა ბულგარელი პატრიოტი მთელ თავის ძალ-ონეს, ნიჭს, ცოდნასა და შრომას არ დაიშურებს, რათა აიყვანოს სამშობლო იმ დონეზე, რომელსაც მტკიცედ მოითხოვს ჩვენგან ახალი დრო და ბრძოლა სოციალური პროგრესისათვის. ეს ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობაა, თქვა დასასრულ ტ. ჟივკოვმა.

ყრილობაზე გამოვიდა ნ. ი. რიჟკოვი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ყველა საბჭოთა კომუნისტის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ბულგარეთის კომპარტიას და წარმატებული, ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მის XIII ყრილობას.

მომძე ქვეყნების მმართველი კომუნისტური და მუშათა პარტიების ყრილობას, თქვა მან, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებისათვის. განსაკუთრებით დიდია მათი როლი ისტორიის ახლანდელ მკვეთრი შემობრუნების მომენტში, როცა ცხოვრება სოციალისტურ ქვეყნებს უსახავს მასშტაბურ და ბევრ რამეში საერთო ამოცანებს, როცა ჩვენი პარტიები აქტიურად, შემოქმედებითად ეძიებენ მათი გადაწყვეტის ეფექტიან გზებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჯეროვნად აფასებს ბულგარეთის კომპარტიის ინტერნაციონალისტურ პოზიციებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის, საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურთიერთობის ჩვენეული პრინციპული შეფასება საყოველთაოდ ცნობილია — ბულგარელი ამხანაგები ერთგულ და საიმედო მეგობრებად მიგვაჩნია.

დასასრულ ნ. ი. რიჟკოვმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობის შედეგები სასიკეთო გავლენას მოახდენენ ბულგარეთის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის, სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხების ყოველმხრივ თანამშრომლობაზე, ხელს შეუწყობენ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებისა და შეკავშირების განმტკიცებას.

● საფრანგეთი

ეროვნულ კრებაში

პარიზი. საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის ახალმა თავმჯდომარემ მემარჯვენე პარტიის — რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანების წარმომადგენელმა ჟაკ შაბან-დელმასმა, რომელმაც მისი თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ დეპუტატებს მიმართა, აღიარა, რომ ახალი უმრავლესობა ეროვნულ კრებაში მყარი არ არის.

როგორც მან თქვა, პარლამენტი წააწყდება უპრეცედენტო პოლიტიკური სიტუაციით წარმოშობილ ახალ პრობლემებს, როცა სოციალისტ პრეზიდენტს თანაარსებობა მოუხდება მემარჯვენე საპარლამენტო უმრავლესობასთან და მის მიერ შექმნილ მთავრობასთან. ეროვნული კრების მუშაობის პირველ დღეს შეიქმნა ავრეთვე პარტიული ჯგუფები. მემარჯვენე პარტიების „დამოუკიდებელ“ დეპუტატთა მხარდაუჭერლად არა აქვთ აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტის ქვედა პალატაში. ეროვნული კრების კომუნისტთა ჯგუფი 35 დეპუტატისაგან შედგება.

● პერუ

დახურეს წარმომადგენლობა

ლიმა. პერუს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დახუროს თავის ქვეყანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობა. ეს განაცხადა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ლუის ალვა კასტრომ. მან აღნიშნა, რომ პერუს მთავრობა არ დაუშვებს ქვეყნის საშინაო საქმეებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩარევას.

მთავრობის მეთაურმა კვლავ დაადასტურა, რომ პერუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის დასაფარავად ყოველწლიურად გადაიხდის ქვეყნის საექსპორტო შემოსავლის მხოლოდ 10 პროცენტს.

● ინდოეთი

... ...

**ბ ... ...

პროფესია მოწოდებით

სკკპ XXVII ყრილობის მიერ უმაღლესი სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათაგან ერთ-ერთი მთავარია სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტების გაუმჯობესებაზე, იმაზე, შეძლებს თუ არა ინსტიტუტი იპოვოს „თვალი“ სტუდენტი, მისაღები კამპანიის დროს ათასი აბიტურიენტიდან განსაზღვროს ის, ვინც უმაღლეს სასწავლებელში მოწოდებით მოვიდა, შეგნებულად აირჩია მომავალი პროფესია.

სწორედ ამ მიზანს ისახავს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს **რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ზ. ჩხიკვიშვილმა.** — ისინი არა მარტო უხამებენ ერთმანეთს სახალხო მეურნეობის ინტერესებსა და პიროვნების ინტერესებს, არამედ აფართოებენ კიდეც უმაღლესი სასწავლებლის უფლებებს.

მისაღებ გამოცდებს წინ უძღვის საპროფორიენტაციო გაკვეთილები. გააანალიზებენ და შესაბამისად შეაფასებენ აბიტურიენტის წარმატებებს შრომაში, პროფესიულად მიმართულ შემოქმედებაში, საერთო და პროფესიულ მომზადებაში. სპეციალური კომისია განსაზღვრავს სწორი არჩევანი მოახდინა თუ არა აბიტურიენტმა, რამდენად სერიოზული და მოფიქრებულია მისი გადაწყვეტილება შევიდეს სწორედ ამ უმაღლეს სასწავლებელში. კომისია გაითვალისწინებს აბიტურიენტის მიღწევებს რაციონალიზატორობასა და გამომგონებლობაში, გამარჯვებებს ოლიმპიადებსა და კონკურსებში, პრაქტიკული მუშაობის სტაჟს (სულ ცოტა ორი წელი), სამსახურს საბჭოთა არმიაში.

უაღრესად საჭიროა, რომ თითოეული აბიტურიენტი მიმღეს კომისიაში საბუთების ჩაბარებამდე დაწვრილებით გაეცნოს საპროფორიენტაციო გასაუბრების დებულებას, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისათვის საჭირო დამატებითი, ბევრ შემთხვევაში კი გადამწყვეტი ქულების მინიჭების კრიტერიუმებს, რომლებიც ამ დებულებაშია ჩამოყალიბებული.

გასაუბრების შედეგად დაგროვილ ქულებს დაუმატებენ მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტის მიერ მიღებული ქულების ჯამს. აბიტურიენტმა კი უნდა ჩააბაროს სამი გამოცდა წინანდელი ოთხის ნაცვლად, ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელთა გარდა, სადაც აბარებენ ოთხ გამოცდას: მათგან ორს — სპეციალობაში.

თუ შეიძლება, დაწვრილებით გვითხარით, თუ რა საგნებს ჩააბარებენ გამოცდებზე აბიტურიენტები.

— სამი გამოცდიდან ორი აუცილებელია ყოველი უმაღლესი სასწავლებლისათვის. მესამეს განსაზღვრავს თვით სასწავლებელი. ყველა უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობები დაყოფილია სამ ჯგუფად. ყველასათვის საერთო და სავალდებულო გამოცდაა თხზულება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

ისინი, ვინც შედის ჰუმანიტარულ — ფილოლოგიის, ისტორიის, ხელოვნების, სამართალმცოდნეობის, ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკის, საქონელმცოდნეობის სპეციალობებზე, მეორე გამოცდას აბარებენ საზოგადოებათმცოდნეობაში. ისინი კი, ვინც გადაწყვეტა შეისწავლოს ბიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო (საინჟინრო-ტექნიკურის გარდა), მედიცინის, სპორტის სპეციალობები, გახდეს ფიზიკური აღზრდისა და დაწყებითი სამხედრო განათლების მასწავლებელი, გამოცდას ჩააბარებენ ბიოლოგიაში.

და ბოლოს, ყველა დანარჩენი სპეციალობისათვის გათვალისწინებულია გამოცდა მათემატიკაში.

— მესამე გამოცდა უკვე გასაზღვრეს უმაღლესმა სასწავლებლებმა?

— დიახ, მაგალითად, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მესამე გამოცდა იქნება ქიმიაში. ისინი, ვინც სპეციალობად აირჩევს უცხო ენას, გამოცდას ჩააბარებენ ამ საგანში. საქართველოს და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში მესამე გამოცდა იქნება ფიზიკაში, ქიმიის ფაკულტეტის გარდა სადაც ჩააბარებენ ქიმიას, არქიტექტურულზე კი — ხატვას. უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის, სამართალმცოდნეობის, ფილოსოფიის, სტატისტიკის, ფინანსებისა და კრედიტის (ქართული სექტორი) სპეციალობებზე შემსვლელნი დაწერენ კარნახს რუსულ ენაში, ისინი კი, ვინც გადაწყვეტა დაეუფლონ რუსული ენისა და ლიტერატურის, ჟურნალისტისა თუ სამართალმცოდნის (რუსული სექტორი) სპეციალობებს, ჩააბარებენ უცხო ენას.

საზოგადოებათმცოდნეობას ჩაბარებენ აბიტურიენტები, რომლებიც შედიან უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის, სახალხო მეურნეობის ან მრეწველობის დაგეგმვის, შრომის, ვაჭრობისა თუ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, პოლიტ-ეკონომიის სპეციალობებზე. ის აბიტურიენტები, რომლებიც სპეციალობად აირჩევენ მათემატიკას, გამოყენებით მათემატიკას, გეოლოგიას, მეტეოროლოგიას, კავშირგაბმულობის, მანქანათმშენებლობის მრეწველობის ან მშენებლობის ეკონომიკას, ეკონომიკური ინფორმაციის მექანიკურ ტამუშავებას, ჩააბარებენ ფიზიკას. ქიმიაში გამოცდაა დანიშნული იმათთვის, ვინც შედის ქიმიის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკის, საქონელმცოდნეობის სპეციალობებზე. ბიოლოგებს გამოცდიან მათემატიკაში, გეოგრაფებს — გეოგრაფიაში.

პედაგოგიურ ინსტიტუტებში ისტორიკოსები გამოცდას ჩაბარებენ სსრ კავშირის ისტორიაში, ბიოლოგები — ქიმიაში; სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობებზე, მეორე გამოცდას აბარებენ საზოგადოებათმცოდნეობაში. ისინი კი, ვინც გადაწყვეტა შეისწავლოს ბიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო (საინჟინრო-ტექნიკურის გარდა), მედიცინის, სპორტის სპეციალობები, გახდეს ფიზიკური აღზრდისა და დაწყებითი სამხედრო განათლების მასწავლებელი, გამოცდას ჩაბარებენ ბიოლოგიაში.

და ბოლოს, ყველა დანარჩენი სპეციალობისათვის გათვალისწინებულია გამოცდა მათემატიკაში.

— მესამე გამოცდა უკვე გასაზღვრეს უმაღლესმა სასწავლებლებმა?

— დიახ, მაგალითად, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მესამე გამოცდა იქნება ქიმიაში. ისინი, ვინც სპეციალობად აირჩევს უცხო ენას, გამოცდას ჩაბარებენ ამ საგანში. საქართველოს და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში მესამე გამოცდა იქნება ფიზიკაში, ქიმიის ფაკულტეტის გარდა სადაც ჩაბარებენ ქიმიას, არქიტექტურულზე კი — ხატვას. უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის, სამართალმცოდნეობის, ფილოსოფიის, სტატისტიკის, ფინანსებისა და კრედიტის (ქართული სექტორი) სპეციალობებზე შემსვლელნი დაწერენ კარნახს რუსულ ენაში, ისინი კი, ვინც გადაწყვეტა დაეუფლოს რუსული ენისა და ლიტერატურის, ჟურნალისტისა თუ სამართალმცოდნის (რუსული სექტორი) სპეციალობებს, ჩაბარებენ უცხო ენას.

ისევე როგორც შარშან, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განსაზღვრულია მწვავე დეფიციტური სპეციალობანი: მარკშაიდერის საქმე, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების, აგრეთვე ნავთობისა და გაზის საბადოთა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია, ნავთობისა და გაზის ჰიბურღილების ბურღვა, შავი ლითონების მეტალურგია, შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება, სამთო მანქანები და კომპლექსები.

ამ სპეციალობებზე გასაუბრების შემდეგ მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად ჩაირიცხებიან მხოლოდ ის ჰაბუკები, ვინც ოქროს და ვერცხლის მედალზე დამთავრა სკოლა. წარჩინების დიპლომით — ტექნიკუმები ან საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ის სპეციალობის მიხედვით, რომელიც შეესაბამება ან ენათესაობა არჩეულ სპეციალობას უმაღლეს სასწავლებელში.

— მედალოსნებზე რას გვეტყვით. ექნებათ თუ არა მათ წინა წლების უპირატესობანი?

— უთუოდ, თუ ოქროს ან ვერცხლის მედალოსანი „ფრიადზე“ ჩაბარებს პირველ მისაღებ გამოცდას, იგი ირიცხება უმაღლეს სასწავლებელში.

— ვინ სარგებლობს კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლებით?

— ასეთი კატეგორია რამდენიმეა. უწინარეს ყოვლისა, ისინი, ვინც მოიხადა თავისი ინტერნაციონალური ვალი, აგრეთვე ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები.

ამ უფლებით სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები, რომლებსაც აქვთ ჯარის ნაწილის რეკომენდაცია, თუ ისინი შედიან საინჟინრო, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიურ, სამედიცინო სპეციალობებსა და სამართალმცოდნეობაზე.

— „ექსპერიმენტი“ კვლავ ძალაში რჩება?

— დიახ. მისაღები კომისიის მიერ განსაზღვრულ სპეციალობებზე შემსვლელი ქალაშვილები და ჰაბუკები, რომლებსაც არა აქვთ „სამიანები“ საშუალო განათლების დოკუმენტში, თავისუფლდებიან მესამე გამოცდისაგან, თუ პირველ ორ გამოცდაში ცხრა ქულას მოაგროვებენ.

სხვათა შორის, ისევე როგორც წინა წლებში, სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის სპეციალობებზე იღებენ, როგორც წესი, იმ პირებს, რომლებსაც აქვთ შრომითი და ცხოვრებისეული გამოცდილება, გაჭოჩინეს თავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ესენი უნდა იყვნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა შესწავლით დაინტერესებული ქალიშვილები და ჰაბუკები, რომლებსაც ექნებათ რეპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო კომიტეტების, ჯარის ნაწილების პოლიტორგანოების რეკომენდაციები.

წელს საქართველოს ცხრამეტ უმაღლეს სასწავლებელს შეემატება თექვსმეტი ათასზე მეტი ახალი სტუდენტი.

ი. გოლდმანი,
საქინფორმის კორ.

ბათუმი, აპრილი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე გაზაფხულის თვალწარმტაცი დღეებია. ჰაერი ოდგრადუსამდე თბება. ყვავის ეგზოტიკური ხეები და ბუჩქები, ნაზად ელამუნება ზღვის ტალღა ნაპირის ქვიშნარს.

აპრილის ამ დღეებში მოცალი აღარ აქვთ აჭარის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბაზებისა და კემპინგების თანამშრომლებს. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან დასასვენებლად ჩამოსულან მშრომელები.

სურათებზე: პალმების ხეივანი; სურათს იღებენ მწვანე კონცხის ეგზოტიკური კუთხის სამახსოვროდ; ბათუმის სტუმრებს უყვართ ქალაქ-კურორტის ფართო ქუჩებში ეტლით სეირნობა.

ზ. სამსონიას და ბ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტო-ქრონიკა).



„იამ“ ჩიტაღდნეზი აანთო

ჭიათურელმა მაღაროელებმა თავიანთ ახალგაზრდულ ცენტრს „ია“ უწოდეს. აქ ყველას შეუძლია მისთვის სასურველი საქმის პოვნა. აქ ახალგაზრდებს შეუძლიათ გადაიღონ კინო და ვიდეოფილმები, დაეუფლონ ხელსაქმეს, ისწავლონ გემრიელი კერძის მომზადება. და საოჯახო ბიუჯეტის განაწილებაც კი. კაფეტერიაში ახალგაზრდობა ფინჯან სურნელოვან ჩაიზე აწყობს დისპუტებს. გატაცებით მეცადინეობენ მაღაროელები სპორტულ სექციებში.

მეცადინეობა ისევ მოწყობილი, რომ იგი მოსახერხებელი იყოს სხვადასხვა ცვლაში მომუშავეთათვის. შაბათი და კვირა დღეები დათმობილი აქვს ესთეტიკური აღზრდის კლუბს. მან ხელშეკრულებანი დადო საქართველოს მხატვართა კავშირთან და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან თანამეგობრობის შესახებ.

ცენტრის შექმნის ინიციატორები იყვნენ კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი და საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კომკავშირელები. მათ ხელახლა აღჭურვეს რესტორნის დარბაზი, საკუთარი ძალებით გაარემონტეს, გაასუფთავეს მოედნები სპორტული მეცადინეობისათვის.

ახალი კულტურული ცენტრი განლაგებულია რაიონში, რომელიც სიფიზლის ზონად არის გამოცხადებული.

— ამ ბოლო დროს ადგილობრივი საშუალო სკოლების ბევრი კურსდამთავრებული სასწავლებლებში გამგზავრების შემდეგ არ უბრუნდებოდა მშობლიურ ადგილებს, თქვა კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ნიკაცაძემ. სოციოლოგებმა ეს ახსნეს, კერძოდ, ახალგაზრდობის დასვენების ცუდი ორგანიზაციით. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების საჭირო პირობების შექმნა სკკპ XXVII ყრილობამ კომკავშირული ორგანიზაციის მთელი მუშაობის ქვაკუთხედად დასახა. ვახორციელებთ რა პარტიის პროგრამას, დავადექით ქალაქის ახალგაზრდა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კურსს.

ჭიათურის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია აშენდეს ახალგაზრდული კომპლექსი, რომელსაც ექნება საერთო საცხოვრებელი, საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტები.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲠᲐᲡ

გვპირდება აპრილი?

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, აპრილში ჰაერის საშუალო ტემპერატურა საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 10-14 გრადუსამდე, მთიან რაიონებში 7-12, მაღალმთიან რაიონებში 2-6 გრადუსი, რაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში საშუალო მრავალწლიურ ნორმას უახლოვდება. დანარჩენ რაიონებში კი ნორმაზე 1-2 გრადუსით მაღალია.

პირველ დეკადაში მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება: დამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მინუს 1-პლუს 4 გრადუსამდე, ქართლის ბარსა და კახეთში მინუს 3-პლუს 2-მდე, ხოლო მთიან და მაღალმთიან რაიონებში მინუს 1-6, ზოგან კი მინუს 10-15 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში (გარდა სამხრეთ სანაპირო რაიონებისა) და აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ ნორმასთან ახლოს, დანარჩენ რაიონებში კი ნორმაზე ნაკლები.

ნ. ბერაძე.

ᲤᲘᲜᲯᲘ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

თერმომეტმტრიანი საჯარიმოს ალება მეკარისათვის გაცილებით ძნელია, ვიდრე თავდამსხმელისათვის ბურთის გატანა. ეს ჭეშმარიტება ნებისმიერმა ფეხბურთის გულშემატკივარმა კი არა, იმათაც კი იციან, ვისაც ფეხბურთთან არავითარი კავშირი არა აქვს. მით უფრო მოვალეა იცოდეს ეს პროფესიონალმა საფეხბურთო მიმომხილველმა, თანაც ისეთმა, როგორიც მასლაჩენკოა — ყოფილი მეკარე! მაგრამ აი, 30 მარტს, როცა მოსკოვის ტელევიზიის პირველი პროგრამით „საფეხბურთო მიმოხილვა“ მიჰყავდა, მასლაჩენკომ, სამართლიანად გააკრიტიკა რა თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები, დავა რომ გაუმართეს მსაჯს, რომელმაც მთ კარში პენალტი დანიშნა, ყოველად უსამართლოდ გაიცხა თბილისის დინამოელთა აღტაცება იმასთან დაკავშირებით, რომ გაბელიამ მოიგერია თერთმეტმეტრიანი, და დიდად უხაყვდურა მათ ამისთვის.

სულ ორიოდე წუთის შემდეგ მაყურებელმა საკუთარი თვალით იხილა გაცილებით უფრო ბოძქარი აღტაცება. ამჯერად ესენი იყვნენ „დენერის“ მოთამაშეები, რომლებიც აღფრთოვანებულნი შემოეხვევნენ გარს თავიანთ საუკეთესო ბომბარდირს პროტასოვს, მინსკის „დინამოელებთან“ მატჩში პირველი ბურთი რომ გაიტანა. მიმომხილველ მასლაჩენკოს არათუ არ გაუკიცხავს ეს მეორე „აღტაცება“, არამედ ფრიად კეთილმოსურნედ განმარტა კიდეც:

ეს „ცალი გოლის“ თამაშის მხოლოდ ერთი მაგალითია. თბილისის „დინამოს“ და ლენინგრადის „შახტიორის“ ორთაბრძოლის კომენტარიების უფლება მან მიანდო „დაუნტერესებელ პირს“— დონეცკელ ფეხბურთელს, რომელმაც ორივე გუნდის თამაში თანაბრად შეაფასა, თუმცა თბილისელებმა 1:0 მოიგეს. და ბოლოს, მიმოიხილა რა ხუთი ტურის შემაჯამებელი ცხრილი, მასლაჩენკომ ქებით მოიხსენია „დნეპრი“ და კიევის „დინამო“, რომლებსაც მეორე და მესამე ადგილი უკავიათ, და დადებითი ვერაფერი დაინახა ლიდერის — თბილისის დინამოელების თამაშში, გარდა იმისა, რომ „დაემუქრა“, ჯერ ვნახოთ, გასვლითს თამაშებში რაღას იზამენო.

რა თქმა უნდა, საფეხბურთო მიმომხილველს, ისევე როგორც ყოველ კაცს, უფლება აქვს თავისი სიმპათიები და ანტიპათიები იქონიოს. ეს მისი პირადი საქმეა. მაგრამ სულ სხვა რამაა, როცა თავს უფლებას აძლევს ტელევიზიის მრავალმილიონიანი მაყურებლის წინაშე გადმოაფრქვიოს „თავისი“ გრძნობები.

მელორ სტურუა,
„სოვეტსკი სპორტი“,
1986 წ. 3.IV.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

2 აპრილს გაიმართა ევროპის საფეხბურთო თასების გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები, გთავაზობთ შედეგებს:

ჩემპიონთა თასზე: შვეიცის „ჰეტებორგის“ და ესპანეთის „ბარსელონას“ შეხვედრაში გაიმარჯვეს შვედმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0, ბელგიის „ანდერლეხტმა“ დამარცხა რუმინეთის „სტიაუა“ — 1:0.

თასების მფლობელთა თასზე: როგორც უკვე ვიუწყებოდით, კიევის „დინამომ“ საკუთარ მოედანზე მიიღო „დუკლა“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0, ბურთები გაიტანეს ო. ბლოხინმა (2) და ა. ზავაროვმა, ესპანეთის „ატლეტიკოსა“ და გფრ-ის „ბაიერის“ შეხვედრა დამთავრდა ესპანელთა გამარჯვებით 1:0.

უეფას თასზე: გფრ-ის „კელნმა“ დიდი ანგარიშით — 4:0 დაამარცხა ბელგიის „ვარეჰემი“, იტალიის „ინტერმა“ მოუგო მადრიდის „რეალს“ — 3:1. განმეორებითი მატჩები გაიმართება 16 აპრილს.

გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩებიც ფეხბურთში. მინსკის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით— 2:0, ლენინგრადის „ზენიტმა“ დაამარცხა ლიპეცკის „მეტალურგი“ — 3:0, ოდესის „ჩერნომორეცისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრა დამთავრდა „ტორპედოელთა“ გამარჯვებით — 2:0, დონეცკის „მახტიორმა“ ანგარიშით 2:1 მოუგო რიგის „დაუგავას“.

6 აპრილს ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „ტორპედო“ და „სპარტაკი“ და ლენინგრადის „ზენიტი“-დონეცკის „მახტიორი“. მოსკოვში მატჩი გაიმართება „ტორპედოს“ სტადიონზე. მთავარ მსაჯად დანიშნულია ს. ჰუსაინოვი. ლენინგრადში მატჩი გაიმართება სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში, იმსაჯებს — ვ. კუზნეცოვი.

ფინალური მატჩი გაიმართება 2 მაისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

2 აპრილს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები: გთავაზობთ შედეგებს: „ფახთაქორი“-„კუზბასი“ — 4:3, „პამირი“-ხაბაროვსკი ასკ — 0:0, ასკ „კარპატი“-„ატლანტასი“ — 4:0, ლანჩხუთის „გურია“-„ყუბანი“ — 1:0, „სპარტაკი“-როსტოვის ასკ — 0:0, „როტორი“-„ფაკელი“ — 2:1, ცსკა-„ლოკომოტივი“ — 0:1, „როსტსელმაში“-ბათუმის „დინამო“ — 6:0, სტავროპოლის „დინამო“-„კოტაიკი“ — 0:0, „კოლოსი“-„შინიკი“ — 1:0, „მეტალურგი“-„ისკრა“ — 3:0.

სატურნირო ორბიტა

ᲐᲓᲚᲐᲯᲘ. საფრანგეთის ქ. იერში გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრება მმდნიარეობს შვეიცარიელი სისტემით, რამდენადაც მასში 60 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის არიან ცნობილი დიდოსტატები ნონა გაფრინდაშვილი, ლიდია სემეონოვა, რუმაელი ელისაბედ პოლიქრონიადე, ჰოლანდიელები კორი ვრეკენი და ვან დერ მეიე, უნგრელი ევა კარაჯაში და სხვები.

ტურნირში წარმატებით გამოდის მრავალეზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც ზედიზედ სამი პარტია მოიგო და მეოთხე პარტიაში ყაიმზე შეუთანხმდა ინგლისელ შეილ ჯექსონს. სამი ქულა მოაგროვა კიეველმა ლიდია სემეონოვამ და იგი ლიდერთა ჯგუფშია.

თბილისში დაიწყო მეგობარი არმიების მეთერთმეტე ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც ხუთი ქვეყნის — სსრ კავშირის, ბულგარეთის, კუბის, უნგრეთისა და პოლონეთის გუნდები მონაწილეობენ. პირველ ტურში საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეებმა მოუგეს პოლონეთის გუნდს — 3,5:0,5. ასეთივე ანგარიშით უნგრეთის გუნდმა მოუგო კუბელ მოჭადრაკეებს. ამ ტურში ბულგარეთის გუნდი ისვენებდა. ტურნირი 12 აპრილამდე გასტანს.

მსოფლიო ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი განაგრძობს ლიდერობას ბრიუსელის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. ცხრა ტურის შემდეგ მას 6 ქულა და ერთი მოსაგებ პოზიციაში გადადებული პარტია აქვს იასერ სეირავანთან (აშშ). 6-6 ქულით მომდგარნი ადგილებზე არიან ჰოლანდიელი იან ტიმანი და ფილიპინელი ეუგენიუ ტორე, ოლეგ რომანიშინს 5,5 ქულა აქვს.

რიგაში დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „რიგა-86“. მრავალჭიდში ვაჟთა შორის ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა 23 წლის კორეელმა სტუდენტმა ლი ჩელ ხონმა — 57, 70 ქულა, მეორე ადგილი დაიკავა ალმათელმა ვალერი ლიუკინმა (57,20 ქულა), მესამე — ჩინელმა ფან მინმა (57 ქულა). ქალთა შორის უძლიერესი იყო 14 წლის ალმათელი მოსწავლე ალევტინა პრიიახინა, მრავალჭიდში მან 39,05 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი წილად ხვდა რიგელ ნატალია ლაშჩენოვას (38,7 ქულა), 38,45 ქულით მესამე ადგილზე გავიდა მინსკელი სვეტლანა ბოგინსკაია.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ატლანტის დახურულ კორტებზე მიმდინარეობს, წარმატებით გამოვიდა მოსკოველი ანდრია ჩესნოკოვი, რომელმაც პირველ წრეში ანგარიშით 6:4, 7:6 დაამარცხა სკოტ დევისი (აშშ) და მეორე წრეში გავიდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დევისი 33-ე ადგილზეა, ხოლო ჩესნოკოვს ამავე კლასიფიკაციით 131-ე ადგილი უკავია. შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე ა. ჩესნოკოვს უფრო სერიოზული შეხვედრები ელის: ტურნირში მონაწილეობენ უიმბლდონის ჩემპიონი ბ. ბეკერი (გფრ), შვედი ს. ედბერგი და სხვა გამოჩენილი სპორტსმენები.

ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲐ. თბილისში ორმოცდაათამდე სპორტსმენმა გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თასი. საქართველოს წარმომადგენლმა გენადი სალტიკოვმა გაიმარჯვა ორჭიდში, რომელიც შედგებოდა დაბრკოლებების გადალახვისა და სამანეეფ სვლისაგან. მისი თანაგუნდელი ოთარ ქვაჩახია საუკეთესო იყო ცხენის ჯახუდნაში. სომხეთის წარმომადგენლმა არაიკ გევორკიანმა სხვებზე უკეთ დაძლია დაბრკოლებები. სპატიო პრიზის მფლობელებმა ქვეყნის თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, რომელიც 24 აპრილს მოსკოვში დაიწყება.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ

4 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00— „ვრემია“. 9.35 — „ინფორმაციის უნიკალური შეკვიბრება. 10.25 — ტ. ხრენნიკოვის კომიკური ოპერა „დონრეფა“. 12.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — სოფლის ჰორიზონტები. დოკუმენტური ტელეფილმები. 16.20 — უნგრული ხალხური მელოდიები. 16.45 — რუსული მეტყველება. 17.15 — ახალი ამბები. 17.20 — მ. რაველი — ბალეტ „დაფნისი და ქლოას“ მეორე სიუიტა. 17.40 — მხატვრული ფილმი „უმეროსი ეაკის ქუჩა“. 19.15 — კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ მოქმედებს. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჩვენი ბალი. 20.30 — მულტფილმები დიდებისათვის. 21.00 — უნგრეთის განთავისუფლების დღის გამო. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ო. ლუნდსტრემის ჯაზური ორკესტრის გამოსვლა. 0.10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ეარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. IV კლასი. 10.05 და 14.05 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის, ფიზიკა. 11.35 და 12.40 — გეოგრაფია. V კლასი. 12.05 — „მარტივი — რთული ჭეშმარიტებანი“. ტელეჟურნალი მშობლებისათვის. 13.10 — ზოოლოგია. VII კლასი. 14.35 — საბჭოთა სახვითი ხელოვნება. ე. ა. კიბრიკი. 15.25 — ა. ჰ. ჩეხოვი — „თოლია“. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — ფ. შოპენის ნაწარმოებებს ასრულებს ლ. ტიმოფეევა. 19.35 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 20.00 — ა. ჰ. ბორდენი — ოპერა „თავადი იგორის“ ფრაგმენტები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — გეოლოგის დღის გამო. 21.25 „კონცერტ-ვალსი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ხალხისათვის“. VIII სერია. 0.15 — ხელბურთი. ნახევარფინალი. უნგრეთის „ვაშაში“ — კიევის „სპარტაკი“. II ტაიმი. 0.45 — ახალი ამბები.

ᲠᲐᲓᲘᲝ

4 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00— „ვრემია“. 9.35 — მოამბე (განმეორებით). 10.10 — ქართული მხატვრული ფილმი „ზოგი ჭირი მარგებელია“. 11.35 — კინოჟურნალი „მინდა, ყველაფერი ვიცოდე“. 11.45 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კვლავ მოელინებაში“. 12.15 — „მწვანალი და ცხოვრება“ — რ. ამაშუკელის შეხვედრა კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მშრომელებთან (განმეორებით). 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევიისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრებს ეკრანებ ზ ე. 16.55 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“. საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის. დოკუმენტური ფილმი მდინარის „რუსთავი“. 17.40—მოსწავლეთათვის. „ეგალონსური სალეტაევი“. 18.15 — ქართული საკვარტეტო მინიატიურები. 18.45 — „ცეროლენას ეკრანი“. 19.00 — „საერთაშორისო დღიური“. 19.30 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“. საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის. სტუდიაშია საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მეშატიანის“ დირექტორი ჭ. ამირეჯიბი. 21.00 — უნგრეთის ეროვნული დღესასწაულის გამო. უნგრეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე“. 22.45 — მხატვრული პროგრამა. „ფილმი, მსახიობი, როლი“.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „ცხოვრებაც, ცრემლებიც, სიყვარულიც“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

4 ᲐᲠᲘᲚᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბლუზი (57-ე აბონ. მე-9 წარმ.); თბილისის სახელმწიფო დრამატული ↲ გამოქვაბული (მე-9 აბონ. მე-4 წარმ.); ზინიატურების სახელმწიფო ნაკრება; აბ